



რეგისტრაციის N 52/36

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვა



ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში



საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია საქართველოს რეგიონებში დაბალანსებული, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას კი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან ხელს უწყობს ბიზნეს სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდასა და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ პროექტების ეფექ-


ტიანად დაგეგმვა და განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა.

წინამდებარე ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში განხილულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში პროექტების მართვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, გამოვლენილია ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
1. შესავალი	6
აუდიტის მოტივაცია	6
აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვა	7
აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია	7
შეფასების კრიტერიუმები	10
2. ზოგადი ინფორმაცია.....	11
აუდიტის მიგნებები.....	14
3. ფონდიდან მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის დადგენასთან დაკავშირებული ხარვეზები	14
4. ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების პროცესი	19
4.1. პროექტების განხორციელების პროცესის მონიტორინგის ნაკლოვანებები.....	20
4.2. შესწავლილი პროექტების დაგეგმვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.....	23
4.3. პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკის არარსებობა.....	26
შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები	30
ბიბლიოგრაფია	32
დანართი	34

შემაჯამებელი მიმოხილვა



ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან ხელს უწყობს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდასა და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი წარმოადგენს. 2015 წელს, ფონდმა სამთავრობო კომისიის გავლით მუნიციპალიტეტებში დააფინანსა 601 სხვადასხვა ტიპის პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 175,275 ათასი ლარი შეადგინა.

ფონდის მნიშვნელობიდან, საბიუჯეტო სახსრების არსებითობიდან და რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური გავლენიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის ობიექტებს წარმოადგენდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 5 შერჩეული მუნიციპალიტეტი (ამბროლაური, თელავი, დმანისი, ხარაგაული და მცხეთა) და სამთავრობო კომისია¹. აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა შერჩეული მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული 70 პროექტის მართვის პროცესი.

აუდიტის ჯგუფმა ფონდიდან თანხების მუნიციპალიტეტებს შორის გადანაწილებასა და დაფინანსებული პროექტების მართვის პროცესთან დაკავშირებით გამოავლინა შემდეგი სახის ხარვეზები:

ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მოცულობის გაანგარიშების არსებული კრიტერიუმები სრულად ვერ ასახავს მათ საჭიროებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შედეგად ვერ ქმნის მუნიციპალიტეტებს შორის თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს. დღეის მდგომარეობით, ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სახსრების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობასა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელზე დაყრდნობით. მუნიციპალიტეტებს შორის თანხების გადანაწილებისას სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნების მიღწევას.

პროექტების მართვის პროცესში, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ განსაზღვრული მონიტორინგის შედეგების წარდგენის ფორმა და პერიოდულობა. შედეგად, არ ხდება პროექტების მიმდინარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება და ასევე, დროული რეაგირება პროექტის გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენის შემთხვევაში. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროექტის ზედამხედველობა ტარდება დროის მონაკვეთის დიდი შუალედებით, ხოლო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი პროექტის მიმდინარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. მონიტორინგის გამართული სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს ხარვეზების დროულად აღმოჩენასა და გამოსწორებას.

შესწავლილი პროექტების შემთხვევაში ადგილი აქვს პროექტების დაგვიანებით შესრულებასა და ბიუჯეტის ცვლილებას. კერძოდ, 55 დასრულებული პროექტიდან 23 პროექტის (42%) შემთხვევაში დასრულების ვადა გახანგრძლივდა, ხოლო 8 პროექტის შემთხვევაში თავდაპირველად განსაზღვრული ღირებულება გაიზარდა, რამაც ჯამში 64.5 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი გამომწვევი მიზეზია პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, როგორებიცაა საპროექტო დოკუმენტაციაში კონკრეტული სამუშაოების გამოტოვება, პროექტის გამართული

¹ საქართველოს მთავრობის №172 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროექტის დაფინანსების შესახებ

ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების გაუთვალისწინებლობა და სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიების დაგვიანებით მოპოვება.

მუნიციპალიტეტების მიერ არ არის დანერგილი პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკა. შედეგად, არ ხდება წინა პერიოდებში განხორციელებული პროექტებიდან მიღებული გამოცდილების მომავალ პროექტებში გათვალისწინება. აღნიშნული შეფასების სისტემის არსებობა საშუალებას მისცემს ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტებს განსაზღვრონ შეფასებისას იდენტიფიცირებული პრობლემების გამოსწორების/გადაჭრის გზები, ხოლო მეორე მხრივ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაითვალისწინოს მიღებული გამოცდილება მომავალში განსახორციელებელი პროექტების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში და ასევე, მოახდინოს პროექტების ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გაზიარება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში არსებობს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში სამთავრობო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების მართვის გაუმჯობესების პოტენციალი.

1. შესავალი

აუდიტის მოტივაცია

საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია საქართველოს რეგიონებში დაბალანსებული, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევისათვის კი ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების ზრდას და აუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.²

მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი მთავარი წყარო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდია, რომლის განკარგვა ხორციელდება სამთავრობო კომისიის³ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. 2015 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ფონდიდან სამთავრობო კომისიას განკარგვაში გადაეცა 175,275 ათასი ლარი⁴, რომლითაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დაფინანსდა 601 პროექტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებებში⁵ ყოველწლიურად ხდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრების განაწილებისა და მართვის საკითხების მიმოხილვა. მოხსენებაში წამოჭრილია რიგი პრობლემები, რომლებიც აღნიშნული ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მართვის ხარვეზებზე მიუთითებს და უფრო დეტალურ და ღრმა ანალიზს მოითხოვს. კერძოდ, ნაკლოვანებით ხასიათდება მუნიციპალიტეტებზე გასაცემი დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის დადგენის პროცესი, პროექტების დასრულებისა და ჩაბარების პროცედურები. ასევე, ადგილი აქვს პროექტების შეწყვეტის ან დროებით შეჩერების შემთხვევებს, მონიტორინგისა და პროექტების მართვის პროცესში ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს.

ზემოაღნიშნული გარემოებები გახდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების მოტივაცია.

² 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა

³ საქართველოს მთავრობის №172 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს საქართველოს რეგიონული განვითარების პროცესს

⁴ საქართველოს მთავრობის №2797 განკარგულება, 2015 წლის 25 დეკემბერი

⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მოხსენება საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ; მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვა

აუდიტის მიზანია შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში სამთავრობო კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების მართვა.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, აუდიტის ფარგლებში სისტემური პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ მთავარ კითხვას:

რამდენად ეფექტიანია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში სამთავრობო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების მართვა?

აუდიტის ქვეკითხვებია:

- › რამდენად უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებს შორის თანხების ოპტიმალური განაწილება?
- › რამდენად გამართულად მიმდინარეობს ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების პროცესი?
- › რამდენად ხდება დასრულებული პროექტების შეფასება?

აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია

ეფექტიანობის აუდიტის ობიექტებს წარმოადგენენ: *რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია*, როგორც პროექტების შერჩევაზე პასუხისმგებელი ორგანო; *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო* (შემდგომში *სამინისტრო*), როგორც ფონდის ფარგლებში სამთავრობო კომისიის გავლით დაფინანსებული პროექტების შერჩევისა და განხორციელების პროცესების ზედამხედველი ორგანო და *5 შერჩეული მუნიციპალიტეტი (ამბროლაური, თელავი, დმანისი, ხარაგაული და მცხეთა)*, როგორც ფონდის ფარგლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრივად განკარგვაზე პასუხისმგებელი ორგანოები.

მუნიციპალიტეტების შერჩევა განხორციელდა რისკზე დაფუძნებული შერჩევის პრინციპით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:


- › თავდაპირველად განსაზღვრული ღირებულებიდან პროექტის საბოლოო ღირებულების მნიშვნელოვანი გადახრა;
- › თავდაპირველად განსაზღვრული ვადიდან პროექტის დასრულების ვადების მნიშვნელოვანი გადახრა;
- › შეწყვეტილი/დროებით შეჩერებული პროექტები;
- › სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტები - მუნიციპალიტეტების შერჩევისას აღნიშნული ტიპის პროექტები გამოყენებულ იქნა როგორც კრიტერიუმი, რადგან წინა წლებში ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესწავლისას

დადგინდა, რომ ყველაზე მეტი ხარვეზი წყლის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით იყო.

აუდიტის თითოეულ ქვეკითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და პროცედურები:

- **რამდენად უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებს შორის თანხების ოპტიმალური განაწილება?** - აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამართლებრივი ბაზა, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის (ლიმიტების) განსაზღვრას, მოხდა სამინისტროს მიერ 2013-2016 წლებში გამოყენებული ლიმიტებისა და მათი დათვლის თავისებურებების ანალიზი. ასევე, 2015 წლისათვის განსაზღვრული ლიმიტები შედარდა ფაქტობრივად გამოყოფილი თანხებს და იდენტიფიცირებული იქნა განსხვავების მიზეზები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა ინტერვიუები სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან.
- **რამდენად გამართულად მიმდინარეობს ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელება?** - კითხვაზე პასუხის გასაცემად მოხდა 2015 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი. კერძოდ, გაანალიზდა პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, პროექტის მიმდინარეობისას არსებული კორესპონდენცია და ექსპერტიზის დასკვნები. ამასთან, პროექტების მდგომარეობის და გამართულად ფუნქციონირების შესაფასებლად აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე/დასრულებული პროექტების 73% (60 პროექტიდან აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა 44 პროექტი) და გამოკითხა პროექტების 229 ბენეფიციარი (იხილეთ რუკა 1.1). აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი და ადგილზე დათვალიერებული პროექტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ 1-ში. გარდა აღნიშნულისა, შესწავლილ იქნა პროექტების მიმდინარეობის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია შერჩეული მუნიციპალიტეტების 20 პროექტისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ინტერვიუები სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. დასრულებული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტების მიერ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიების მიერ მომზადებული პროექტის დასრულების შესახებ დასკვნები.
- **რამდენად ხდება დასრულებული პროექტების შეფასება?** - აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად და არსებული პრაქტიკის შესასწავლად, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ხოლო ინტერვიუების შედეგების დადასტურება მოახდინა შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზით.

რუკა 1.1: აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ 5 მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დათვალიერებულ პროექტების და გამოკითხული ბენეფიციარების რაოდენობა.



**მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროექტების სტატისტიკის წარმოდგენაში ასახული არ არის ის პროექტები, რომლებზეც მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტები.*

აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2015 წელი და 2016 წლის პირველი ნახევარი, თუმცა მონაცემთა ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა წინა წლების ან/და აუდიტის დასრულებამდე წარმოდგენილი ინფორმაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებული პროექტების შერჩევა და განხორციელება ხდება წინასწარ განსაზღვრული პრინციპით, ხოლო სხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ, პროექტების შერჩევისა და განხორციელების წესი არ არის დადგენილი და ადგილი აქვს პროექტების განხორციელების არაერთგვაროვან მიდგომებს, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში განხილულია მხოლოდ სამთავრობო კომისიის გავლით დაფინანსებული პროექტების მართვის საკითხები, რომელიც მთლიანი ფონდის 44% შეადგენს.

შეფასების კრიტერიუმები

დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის (ლიმიტების) განსაზღვრისას საქართველოს რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირებაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენების მნიშვნელობის მხარდასაჭერად გამოყენებულ იქნა **2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა და 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგია**. აღნიშნული დოკუმენტებით რეგიონული განვითარების მიზანს წარმოდგენს ისეთი წინაპირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკის შესაფასებლად, გამოყენებულია **მსოფლიო ბანკის საჯარო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელო**, რომლის მეშვეობით მსოფლიო ბანკი აფასებს განვითარებად ქვეყნებში საინვესტიციო პროექტების მართვის ხარისხს. სახელმძღვანელოში აღწერილია პროექტის სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპისათვის საჭირო აქტივობები, რაც ხელს უწყობს პროექტების პროდუქტიულად და ეფექტიანად განხორციელებას. დეტალურად აღნიშნული საკითხები წარმოდგენილი იქნება შესაბამის თავებში.

2. ზოგადი ინფორმაცია

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის განაწილება


რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნაწილი, რეგიონულ საჭიროებებთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გადაეცემათ მხარჯავ უწყებებს, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს. ნაწილი კი განიკარგება სამთავრობო კომისიის⁶ გადაწყვეტილების შესაბამისად.

2015 წელს ფონდიდან ფაქტიურად გადარიცხულმა თანხამ 399,584 ათასი ლარი შეადგინა. გრაფიკი 2.1 აჩვენებს ფონდიდან გადარიცხული თანხის მიზნობრიობას, მათ შორის სამთავრობო კომისიის გავლით დაფინანსებული პროექტების თანხის განაწილებას სამუშაოს ტიპის მიხედვით.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2015 წელს ფონდიდან გამოყოფილი თანხის 44%-ის განკარგვა (175,275 ათასი ლარი) ხდებოდა სამთავრობო კომისიის მიერ. ხოლო სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებულ პროექტებში ჭარბობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი წყლის სისტემისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტები.

⁶ სამთავრობო კომისია ფონდის ნაწილის განკარგვას ახორციელებს 2013 წლიდან, საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის №23 დადგენილების საფუძველზე


გრაფიკი 2.1: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრების მიზნობრიობა



სამთავრობო კომისიის გავლით დაფინანსებული პროექტების მართვის პროცესი

2016 წლიდან სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ახდენს ფონდიდან მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის (ლიმიტების) დადგენას, რომლის ფარგლებშიც (ან მცირედი გადაცდომით) ხდება პროექტების შერჩევა და დაფინანსება. ქვემოთ მოცემული სქემა აჩვენებს პროექტების შერჩევის, დაფინანსებისა და განხორციელების პროცესს:

სქემა 2.2: ფონდიდან პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების პროცესი



მას შემდეგ, რაც პროექტის განხორციელების შესახებ მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს პროექტის უშუალო განმახორციელებელი კომპანიის შესარჩევად. ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს ასრულებს საპროექტო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. მუნიციპალიტეტები, როგორც პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ახდენენ პროექტების სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს. სამუშაოების დასრულების შემდგომ კი, უმეტეს შემთხვევაში, ხდება საექსპერტო დასკვნის მომზადება, რის შემდეგაც ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და ხდება პროექტის ექსპლუატაციაში მიღება.

აუდიტის მიგნებები

3. ფონდიდან მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის დადგენასთან დაკავშირებული ხარვეზები

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამთავრობო კომისიის განკარგვაში გადაცემული თანხის ფარგლებში პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს სამთავრობო კომისია. მუნიციპალიტეტების მიერ წარდგენილი პროექტები ფინანსდება თითოეული მუნიციპალიტეტისათვის გაანგარიშებული თანხობრივი ლიმიტის ფარგლებში. 2016 წლამდე ნორმატიულ დონეზე არ იყო მოთხოვნილი აღნიშნული ლიმიტების გაანგარიშება, თუმცა, ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, მაინც ხდებოდა მუნიციპალიტეტებისათვის ფონდიდან გადასაცემი სახსრების არაოფიციალური საპროგნოზო ლიმიტების დადგენა.

2016 წლიდან საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით⁷, ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განესაზღვრათ ფონდიდან თითოეული მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი თანხის საპროგნოზო მოცულობის დადგენის ვალდებულება. 2013-2016 წლებში ლიმიტების გაანგარიშება ხდებოდა სქემაში მოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით⁸. თუმცა, არც 2016 წელს მომხდარა აღნიშნული საპროგნოზო მოცულობების ნორმატიულ დონეზე განსაზღვრა სამინისტროს მიერ.

სქემა 3.1: ლიმიტების გაანგარიშების კრიტერიუმები წლების მიხედვით




როგორც სქემიდან ჩანს, 2013-2015 წლებში ლიმიტების გაანგარიშება განსხვავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდებოდა, რის გამოც თანხების გადანაწილება მუნიციპალიტეტებს შორის მერყეობით ხასიათდებოდა, რაც მიუთითებს, აღნიშნულ

⁷ საქართველოს მთავრობის №1750 განკარგულება რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 20 აგვისტო

⁸ 2015 წლის ლიმიტების გაანგარიშების ფორმულა სამინისტროს მიერ მოწოდებული არ იქნა, თუმცა სამინისტროს განცხადებით ლიმიტები დაანგარიშდა უმეტესად სქემაში მოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

პერიოდში, ლიმიტების გაანგარიშების ერთიანი მიდგომის არარსებობაზე. მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემული თანხების წლების მიხედვით მერყეობა, ასევე, განპირობებული იყო მათ მიერ წარდგენილი პროექტების მომზადებაში არსებული პრობლემებით, ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიებითა და კომისიის მიერ ცალკეული პროექტების პრიორიტეტად მიჩნევით. წლების მიხედვით, მუნიციპალიტეტების მიერ ფონდიდან მიღებული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ 2-ში, ხოლო გრაფიკი 3.2 აჩვენებს მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტებს, რომელთა დაფინანსების წილი მთლიანი ფონდიდან მნიშვნელოვნად იცვლებოდა წლების განმავლობაში.

გრაფიკი 3.2: მუნიციპალიტეტებში ფონდიდან მიღებული დაფინანსებების წილები წლების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მნიშვნელოვანი განსხვავებაა არაოფიციალურად განსაზღვრულ ლიმიტებსა და რეალურად მუნიციპალიტეტისათვის გადარიცხულ თანხებს შორის. მნიშვნელოვნად მეტი ან ნაკლები თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამთავრობო კომისია. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ ლიმიტსა და რეალურად გადარიცხულ თანხებს შორის არსებული გადახრების გამომწვევ მიზეზებს.

ცხრილი 3.3: მუნიციპალიტეტისათვის საორიენტაციო და რეალურად გადარიცხულ თანხებს შორის არსებული გადახრების გამომწვევი მიზეზები

მუნიციპალიტეტი	გადახრა	%	მიზეზი
მესტია	2,609,476	155%	სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მოეხდინათ ჭუბერის გზის რეაბილიტაცია
საჩხერე	1,677,502	67%	სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოეხდინათ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (აკაკი წერეთლის 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით)
ქალაქი მცხეთა	782,538	50%	სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, გამოეყოთ დამატებითი სახსრები სპორტ - კომპლექსის მშენებლობისათვის, რომელიც წარმოადგენს მრავალწლიან პროექტს
გორი	(1,961,073)	-50%	სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, აღარ დაფინანსდა 4 პროექტი, რადგან ზამთარს ემთხვეოდა სამუშაოების განხორციელების პერიოდი და არამიზანშეწონილად მიიჩნიეს დაფინანსება.
წალენჯიხა	306,391	13%	სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეფინანსებინათ წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი.
ლენტეხი	(412,806)	-28%	სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება არ დაეფინანსებინა სპეცტექნიკის შეძენა

როგორც შესავალში აღინიშნა, მუნიციპალიტეტებისათვის ფონდი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, შესაბამისად აუცილებელია, რომ ფონდის ფარგლებში თანხების გამოყენება/გადაანაწილება ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ ფონდი 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროგრამა ეფუძნება რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების ევროკავშირის პოლიტიკის გამოცდილებას და მიზნად ისახავს საქართველოში არსებული რეგიონული უთანასწორობის პრობლემის გადაჭრას რეგიონის კონკრეტულ საჭიროებებზე საპასუხო ქმედებების ეტაპობრივი განხორციელებით.

არსებული პრაქტიკით, ფონდიდან მუნიციპალიტეტებზე თანხების გადანაწილება ხდება ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (მოსახლეობის რაოდენობა, წინა წლის ათვისება), რომლებიც სრულად და ზუსტად ვერ ახდენენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული საჭიროებების გათვალისწინებასა და თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების ხელშეწყობას. გარდა მოსახლეობის რაოდენობისა და თანხების ათვისების მაჩვენებლისა, ლიმიტების დადგენისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა⁹, მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურა, პროექტების დაფინანსების სხვა წყაროების ოდენობა და სხვა. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ კრიტერიუმებს იყენებენ სხვა ქვეყნებიც თანხების რეგიონებს შორის განაწილებისას. მაგალითად, ლატვია რეგიონული განვითარების ფონდიდან თანხების განაწილებისას იყენებს ტერიტორიული განვითარების ინდექსს, რომელიც გაინგარიშება სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორებიცაა უმუშევრობის დონე, ერთ სულზე გადასახადების რაოდენობა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ინვესტიციების მოცულობა, მუნიციპალიტეტებში არსებული საწარმოების ოდენობა, დემოგრაფიული მაჩვენებლები და სხვა.

დასკვნა

საქართველოს რეგიონებს განვითარების არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ, რაც განპირობებულია მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებითა და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების განსხვავებული დონით. აღნიშნულის საპასუხოდ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების, ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისა და პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია ფონდიდან თანხების განაწილების პრაქტიკა მეტად იყოს ორიენტირებული მუნიციპალიტეტებს შორის უთანასწორობის შემცირებაზე. აღნიშნულის მიღწევა თავის მხრივ შესაძლებელია ფონდის ფარგლებში საპროგნოზო მოცულობების გაანგარიშების ქმედითი კრიტერიუმების შემუშავებით.

ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მოცულობის გაანგარიშების არსებული კრიტერიუმები (მოსახლეობის რაოდენობა და ათვისების მაჩვენებელი) სრულად ვერ ასახავს მათ საჭიროებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შედეგად ვერ ქმნის მუნიციპალიტეტებს შორის თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს, რაც სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბებული რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს.

⁹ ბავშვებისა და საპენსიო ასაკის მქონე მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის წილი რეგისტრირებულ მოსახლეობასთან და ა.შ.

რეკომენდაცია


საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- › მუნიციპალიტეტების თანასწორი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობასა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელთან ერთად გაითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს.

4. ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების პროცესი


2015 წელს შესწავლილ 5 მუნიციპალიტეტში ფონდის ფარგლებში სულ დაფინანსდა 70 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 11,946 ათას ლარს. გრაფიკი 4.1 აჩვენებს აღნიშნული პროექტების შესრულების მდგომარეობას 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე 5 პროექტიდან 4 სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებია, რომელთა განხორციელება იგეგმებოდა 2015 წლის ბოლოსათვის, თუმცა, პროექტის დაგეგმვაში არსებული ხარვეზებისა და კონტრაქტორის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, გადავადდა მათი შესრულება.

გრაფიკი 4.1: პროექტების შესრულების მდგომარეობა



დასრულებული პროექტების შემთხვევაშიც ადგილი აქვს პროექტების დაგვიანებით შესრულებასა და ბიუჯეტის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებების გამოწვევი მიზეზებია პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები (იხილეთ თავი 4.2), კონტრაქტორი კომპანიის მიზეზით გამოწვეული პრობლემები, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ცვლილებები და/ან სხვა გაუთვალისწინებელი პირობები. ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა თავდაპირველად განსაზღვრული ბიუჯეტი და დასრულების ვადა დასრულებული 55 პროექტისათვის.

გრაფიკი 4.2: პროექტების დაგეგმილი დასრულების ვადიდან (I გრაფიკი) და ბიუჯეტიდან პროცენტული გადახრა (II გრაფიკი)



4.1. პროექტების განხორციელების პროცესის მონიტორინგის ნაკლოვანებები

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროების განსაზღვრისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, მნიშვნელოვანია გამართული და სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშების სისტემის არსებობა. მონიტორინგის პროცესი მოიცავს განხორციელების ეტაპზე სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმებას/შეფასებას წინასწარ განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია პროექტის მონიტორინგის შედეგების დადოკუმენტირება, რომელიც შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს პერიოდული ანგარიშის სახით (Project Progress Report), სადაც ასახული იქნება პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა, საკონტრაქტო და საპროექტო პირობებიდან გადახრისა და გამოძწვევი მიზეზების მიმოხილვა, ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების ტესტირებისა და ხარისხის კონტროლის შესახებ.


ფონდიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელების პროცესის დეტალურ მონიტორინგზე პასუხისმგებელია უშუალოდ მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტებში შექმნილია ზედამხედველობის სამსახურები და ინსპექტირების ჯგუფები, რომლებიც ადასტურებენ ფარული სამუშაოების აქტებს¹⁰ და შუალედური ან საბოლოო შესრულებული სამუშაოების ფორმებს. მუნიციპალიტეტების განმარტებით, პროექტის ზედამხედველები მუდმივად ათვალიერებენ პროექტების მდგომარეობას ადგილზე, თუმცა არ მზადდება დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიში. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დასტურდება ვერც პროექტის

¹⁰ აქტი, რომელიც ადასტურებს კონკრეტული დროის მონაკვეთში კონკრეტული სამუშაოების შესრულებას

დათვალიერების პერიოდულობა და ვერც დათვალიერებით განხორციელებული მონიტორინგის ხასიათი. მხოლოდ რამდენიმე პროექტის შემთხვევაში მოხდა დათვალიერების აქტისა და ფოტომასალის წარმოდგენა, რომლებიც მომზადებულია პროექტის ფარგლებში პრობლემების წარმოქმნის დასაფიქსირებლად.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების მონიტორინგის პროცესი არ რეგულირდება შესაბამისი წესის/რეგულაციის მეშვეობით. კერძოდ, მათ არ აქვთ შემუშავებული კონკრეტული ფორმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ინსპექტირების შედეგად მიღებული ინფორმაციის წარმოდგენა. ასევე არ არის დადგენილი კონკრეტული პერიოდულობა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიშგება. შედეგად, განსხვავებული პრაქტიკაა პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მუნიციპალიტეტების მიერ სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით განხორციელებულ აქტივობების სახეებსა და მათი ჩატარების პერიოდულობას შორის, რაც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა წარმოდგენილი.

გრაფიკი 4.1.1: პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით განხორციელებული აქტივობების სახეები და სიხშირე რამდენიმე პროექტის შემთხვევაში.



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე ხშირად ფორმდება ფარული სამუშაოების აქტები, რომლითაც დასტურდება მხოლოდ კონკრეტულ პერიოდში კონკრეტული სახის სამუშაოს შესრულება. ამასთან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას პროექტის ზედამხედველი ან ინსპექტირების ჯგუფი ადასტურებს შესრულებული

სამუშაოებისა და ასანაზღაურებლად წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში ასახული მონაცემების შესაბამისობას/სიზუსტეს. თუმცა, მათი გაფორმების პერიოდულობა სხვადასხვაა და დამოკიდებულია კომპანიის მიდგომასა და სამუშაოების შესრულების ტემპზე. არის შემთხვევები, როდესაც ფორმდება მხოლოდ ერთი მიღება-ჩაბარების აქტი პროექტის დასრულების შემდგომ ან თვეზე მეტი შუალედი აქტების გაფორმებებს შორის. შესაბამისად, ამ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი პროექტის მიმდინარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. აღნიშნული დასტურდება ქვემოთ მოყვანილი მაგალითით:

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წეროვანში დევნილთა დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობისას საშუალოდ თვეში 5-6 ფარული სამუშაოების აქტი და ორ თვეში ერთხელ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება. აუდიტის ჯგუფის მიერ, პროექტის ადგილზე დათვალიერებისას ირკვევა, რომ ივლისის თვეში ადგილი ჰქონდა რიგ უბნებში სანიაღვრე სისტემაში წყლის დაგუბების ფაქტებს, რაც ანტისანიტარიას ქმნიდა. ასევე, მრავლობითი დაზიანებები ფიქსირდებოდა უკვე გაკეთებულ და ჩაბარებულ მონაკვეთებზე. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებში არსად ფიქსირდებოდა პროექტთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემა, რადგან აღნიშნული დოკუმენტების შედგენის მიზანი განხორციელებული სამუშაოების დადასტურებაა და არა საპროექტო პირობებიდან გადახრისა და გამომწვევი მიზეზების მიმოხილვა, ან ინფორმაციის ასახვა პროექტის მიმდინარეობის ხარისხის შესახებ.



როგორც უკვე აღინიშნა, მონიტორინგის დროს ხდება პროექტის გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის შეფასება, რათა დროულად მოხდეს რეაგირება პროექტის ჩამორჩენის ან სხვა პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში. მონიტორინგის მიზნით შესწავლილი 20 პროექტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს არ წარმოუდგენიათ მონიტორინგის შედეგების ამსახველი დოკუმენტი, სადაც მიმოხილული იქნებოდა პროექტის სრული

მდგომარეობა და ასევე, პროექტის მიმდინარეობის შეფასება გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში. გადავადებული 4 სასმელი წყლის პროექტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კონტრაქტორი ჩამორჩებოდა წინასწარ განსაზღვრულ გეგმა-გრაფიკს, თუმცა მუნიციპალიტეტის მხრიდან არ დაფიქსირებულა ინფორმაცია დაგვიანების შესახებ და არ მომხდარა მიმწოდებლის დროული გაფრთხილება. მაგალითად,

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვემო ნიჩბისის სასმელი წყლის პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით, სექტემბერ-ოქტომბერში კომპანიას უნდა შეესრულებინა სამუშაოების 62%, თუმცა, როგორც 5 ნოემბრის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, შესრულებული იყო მხოლოდ 32%. აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ზედამხედველის მიერ არ მომზადებულა მონიტორინგის ანგარიში, სადაც ასახული იქნებოდა ინფორმაცია პროექტის პროგრესის ან შეფერხების შესახებ. მუნიციპალიტეტმა მხოლოდ 11 ნოემბერს გაუგზავნა გაფრთხილების წერილი კომპანიას. პროექტი უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 10 დეკემბერს, თუმცა, 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით დაუსრულებელია.

4.2. შესწავლილი პროექტების დაგეგმვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

პროექტების დაგეგმვასთან დაკავშირებული ხარვეზები

მსოფლიო ბანკის საჯარო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელოს მიხედვით, პროექტების დაგეგმვის ეტაპზე უნდა შეფასდეს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, პროექტის განხორციელების ალტერნატიული გზები, ტექნიკური მახასიათებლები, პროექტისათვის საჭირო ფინანსური/ადამიანური რესურსი, დეტალურად განისაზღვროს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და მათზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, პროექტის განხორციელების დაწყებამდე აუცილებელია ყველა ნებართვისა და ლიცენზიის მიღება, რათა არ შეფერხდეს პროექტის დროული დასრულება. პროექტის დეტალური გეგმისა და საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხზეა დამოკიდებული თუ რამდენად დროულად, ხარისხიანად და თავდაპირველად განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში მოხდება პროექტის შესრულება.

ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების დეტალური დაგეგმვა იწყება საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის საჭირო ტექნიკური დავალების მომზადებით, რომელზე დაყრდნობითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია ამუშავებს პროექტს. გამარჯვებული კომპანიის მიერ მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციას უტარდება ექსპერტიზა თუკი პროექტით გათვალისწინებულია სახიდე გადასასვლელების მშენებლობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების სამუშაოები. ამასთან, ექსპერტიზა უტარდება ყველა იმ პროექტის საპროექტო დოკუმენტაციას, რომლის ღირებულება აღემატება 500 ათას ლარს, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განსახორციელებელი სამუშაოებისა.

2013-2015 წლებში ფონდიდან ფინანსდებოდა საპროექტო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები. თუმცა, 2016 წლიდან აღნიშნული ხარჯების დაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს.

მიუხედავად, იმისა, რომ შესწავლილი პროექტების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა დაგეგმვის ეტაპზე არსებული რიგი ხარვეზები, რომლებიც ეხება საპროექტო დოკუმენტაციაში კონკრეტული სამუშაოების გამოტოვებას, პროექტის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების გაუთვალისწინებლობას და სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიების დაგვიანებით მოპოვებას. ქვემოთ მაგალითების სახით მოცემულია აღნიშნული ხარვეზები:



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებისას არც არსებული შენობის სახურავის მდგომარეობის შეფასება მომხდარა და არც სახურავის რეაბილიტაციის გათვალისწინება პროექტში. პროექტის დასრულებიდან დაახლოებით 2 თვეში წვიმის შედეგად დაზიანდა შენობის კედლები, ჭერი და სცენა. მუნიციპალიტეტმა წვიმის

შედეგად დაზიანებული სამუშაოების გამოსწორება გარანტიის ფარგლებში მოსთხოვა სამშენებლო კომპანიას, რომელმაც 3 თვის შემდგომ შეასრულა აღდგენითი სამუშაოები. თუმცა, ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ კედლები, ჭერი და ჟალუზები კვლავ დაზიანებულია.



თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ რუისპირში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის პროექტის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო საქლორატოროს შენობის მშენებლობა. თუმცა, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ პროექტით არ იყო განსაზღვრული საქლორატოროს ასაშენებლად საჭირო ტერიტორია და არ არსებობდა შენობის საპროექტო გეგმა. შედეგად, პროექტის დასრულება გახანგრძლივდა 1 თვით.

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ნავდარაანთკარში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო იყო გარემოს დაცვის სამინისტროდან სპეციალური ლიცენზიის მიღება ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით, რომლის აღებაც უნდა უზრუნველყო მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტმა სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმა ივლისის თვეში, სადაც სამუშაოების დასრულების თარიღად განსაზღვრული იყო 23 ნოემბერი, თუმცა სამინისტროსგან ლიცენზია მოითხოვა ოქტომბრის თვეში. ლიცენზიის მიღების პროცესი თავის მხრივ 3 თვით გახანგრძლივდა, რამაც საბოლოოდ შეაფერხა პროექტის განხორციელება. 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პროექტი არ არის დასრულებული.



პროექტის კოორდინირებული დაგეგმვის ხარვეზს უკავშირდება მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წილკანში (დევნილთა დასახლებაში) საბავშვო ბაღის ფუნქციონირების პრობლემა, რომლის მშენებლობა დასრულდა 2015 წლის 29 დეკემბერს, თუმცა, 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საბავშვო ბაღში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ბაღისათვის საჭირო ინვენტარის არარსებობისა და შენობის ეზოს მოუწყვრებლობის (დაჭაობების) გამო. პროექტის განხორციელების ინიციატორი იყო ახალგორის მუნიციპალიტეტი, რადგან 2014 წელს წილკანის დევნილთა დასახლების მოსახლეობამ პრიორიტეტად მიიჩნია ბაღის მშენებლობა, ვინაიდან ბავშვებს უწევდათ სოფელ წეროვანის ბაღში სიარული. საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით. 2015 წელს ბაღის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყო მცხეთის მუნიციპალიტეტმა. თუმცა, პროექტით არ იყო გათვალისწინებული ბაღისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა. მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით ბაღის ინვენტარით აღჭურვა უნდა უზრუნველყო ახალგორის მუნიციპალიტეტს, თუმცა, ახალგორის მუნიციპალიტეტის განცხადებით მათ არ აუღიათ საკუთარ თავზე აღნიშნული პასუხისმგებლობა შესაბამისი რესურსის არქონის გამო.

ახალგორის მუნიციპალიტეტი 2016 წლის თებერვლის თვის შემდეგ მიმართავდა თანხების გამოყოფის მოთხოვნით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნიას, თუმცა, აღნიშნული საკითხი 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით არ გადაწყვეტილა.

ახალგორის მუნიციპალიტეტი 2016 წლის თებერვლის თვის შემდეგ მიმართავდა თანხების გამოყოფის მოთხოვნით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნიას, თუმცა, აღნიშნული საკითხი 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით არ გადაწყვეტილა.

დასრულებული პროექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ პროექტების ადგილზე დათვალიერებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ერთი პროექტის შემთხვევაში არ ხდება განხორციელებული პროექტით სარგებლობა, ხოლო ორი პროექტის შემთხვევაში ხარვეზებია პროექტის გამართულად ფუნქციონირების კუთხით. კერძოდ,

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წინამძღვრიანთკარსა და ზაქაროში მოეწყო ახალი სასმელი წყლის შიდა ქსელი, რომელსაც ყველა მოსახლისათვის უნდა გადაეჭრა წყლის პრობლემა. თუმცა, მოსახლეობის გამოკითხვით ირკვევა, რომ წყალს შეუფერხებლად მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი იღებს. მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის განცხადებით, წყლის მიწოდების შეფერხების მიზეზად სახელდება წყლის არაეკონომიური ხარჯვა, მოსახლეობის მიერ წყლის მიწოდების თვითნებური კონტროლი და ზაფხულის პერიოდში სასმელი წყლის სარწყავად გამოყენება. მოსახლეობის ინფორმაციით, აღნიშნულ პრობლემას ადგილი აქვს ივნისის შემდეგ, თუმცა, აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების დათვალიერების მომენტშიც (26 ივლისი) არ იყო გადაჭრილი არსებული ხარვეზები.

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ გაღავანში მოეწყო ახალი სასმელი წყლის შიდა ქსელი და დამონტაჟდა 2 რეზერვუარი, რომლითაც უნდა მომარაგებულიყო სოფლის მოსახლეობა. თუმცა, აუდიტის ჯგუფის მიერ წყლის სისტემით მოსარგებლეების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობა წყალს კვლავ ძველი ქსელით იღებს და ახალი სისტემის გამოყენება არ ხდება. აღნიშნულის მიზეზია რეზერვუარებიდან ჭარბი წყლის კერძო მოსახლის ნაკვეთში დაღვრა, რის გამოც ნაკვეთის მფლობელი მუნიციპალიტეტს არ აძლევდა რეზერვუარით სარგებლობის უფლებას. პროექტის დაწყებამდე, მუნიციპალიტეტსა და მოსახლეს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მიწის მფლობელი თანახმა იყო რეზერვუარის მის ნაკვეთზე განთავსებაზე, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა რეზერვუარზე სპეციალური წყლის დამცლელის დამონტაჟება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა აღნიშნული მოთხოვნა შეასრულა, მაინც ვერ უზრუნველყო რეზერვუარში ჭარბი წყლის არსებობის შემთხვევაში მოსახლის ნაკვეთის დატბორვის თავიდან არიდება. შედეგად, მოსახლეობა ახალი სისტემით ვერ იღებს წყალს.

4.3. პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკის არარსებობა

მსოფლიო ბანკის საჯარო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელოს მიხედვით, პროექტების დასრულების შემდგომი შეფასება შეიძლება დაიყოს დასრულების შემდგომ საბაზისო მიმოხილვად (Basic Completion Review) და პროექტის შეფასებად (Project Evaluation)¹¹. **დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვისას** ყურადღება მახვილდება

¹¹ The World Bank, (2011): Strengthening Public Investment Management, Indicator Framework; pg.85-87

თუ რამდენად დროულად და დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა პროექტი. ასევე, მიმოხილვაში აღწერილია მიღწეული შედეგები, მათი შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ მიზნებთან და თავდაპირველი გეგმიდან გადახვევის მიზეზები. როგორც წესი, მსგავსი ხასიათის შესწავლა პროექტის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში ტარდება. დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვისაგან განსხვავებით, *პროექტის შეფასებისას* საჭიროა მონაცემების უფრო ტექნიკური და სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტის რეალური სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, რომლის რეალიზებასაც შესაძლოა გარკვეული პერიოდი დასჭირდეს. შესაბამისად, შეფასება ტარდება პროექტის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. როგორც წესი, დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვის ჩატარება მიზანშეწონილია ყველა ინფრასტრუქტურული პროექტისათვის, მაშინ როდესაც პროექტის შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ პროექტების გარკვეული ნაწილი, დიდი ბიუჯეტის ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროექტები. იმის გათვალისწინებით, რომ ფონდიდან დაფინანსებული არ არის დიდი მასშტაბის პროექტები, მიზანშეწონილია, მათზე დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვის გაკეთება.

ფონდიდან დაფინანსებული პროექტების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების მიერ არ ხორციელდება პროექტების დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვა და შესაბამისად, პროექტების დასრულების შემდგომ მუნიციპალიტეტები არ აგზავნიან სამინისტროში წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების საბაზისო მიმოხილვის მსგავს ანგარიშს.

პროექტების დასრულების შემდგომი ანალიზის ჩატარების პრაქტიკის არარსებობა გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით:

1. ნორმატიულ დონეზე მუნიციპალიტეტებს არ ეკისრებათ პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების ვალდებულება;
2. არ არის შემუშავებული სპეციალური ფორმა, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტები მოახდენდნენ პროექტების დასრულების შემდგომ ინფორმაციის წარმოდგენას.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების დასრულების შემდგომ მათი შეფასება არ ხდება, წინა პერიოდებში განხორციელებული პროექტებიდან მიღებული გამოცდილების მომავალ პროექტებში გათვალისწინების შესაძლებლობა იზღუდება. აღნიშნული შეფასების სისტემის არსებობა საშუალებას მისცემდა ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტებს განესაზღვრათ შეფასებისას იდენტიფიცირებული პრობლემების გამოსწორების/გადაჭრის გზები, ხოლო მეორე მხრივ სამინისტროს გაეთვალისწინებინა მიღებული გამოცდილება მომავალში განსახორციელებელი პროექტების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში და ასევე, მოეხდინა პროექტების ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გაზიარება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის. საბოლოოდ, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროექტის განხორციელების პროცესის, ხარისხისა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას.

დასკვნა

პროექტების წარმატებით განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია პროექტის დაგეგმვაზე. დაგეგმვაში არსებული ხარვეზები, თავის მხრივ, განხორციელების ეტაპზე იჩენს თავს, რაც გამოიხატება ან პროექტების საერთო ღირებულების ზრდასა და მათი დასრულების ვადის გახანგრძლივებაში, ან უარეს შემთხვევაში, პროექტებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის შეუსრულებლობაში.

რაც შეეხება პროექტების მონიტორინგის პროცესს, იგი მუნიციპალიტეტებისათვის წარმოადგენს ბერკეტს, რომლის საშუალებითაც სისტემატურად იღებს პროექტის მიმდინარეობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული სისტემა გამართულია იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულია პროექტის ზედამხედველობის პერიოდულობა და მისი შედეგების წარმოდგენის კონკრეტული ფორმატი. მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების მონიტორინგის პროცესის პერიოდულობა და ანგარიშების პროცესი დარეგულირებული არ არის, შედეგად არის შემთხვევები, როდესაც პროექტის ზედამხედველობა ტარდება დროის მონაკვეთის დიდი შუალედებით, ხოლო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი პროექტის მიმდინარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. აღნიშნული აფერხებს პროექტის მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზების დროულად გამოვლენასა და მასზე რეაგირებას. ასევე, მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის არაფორმალური სახე ართულებს პროექტის შეფასებას როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე, პროექტის დასრულების შემდგომ.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები სხვადასხვა პროექტში, რომელიც პროექტის დაგეგმვასა და ფუნქციონირების საკითხებს უკავშირდება. ბუნებრივია, მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის ჯეროვანი დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული პრობლემების მოგვარება, თუმცა ხარვეზების პრევენციის მიზნით, პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების სისტემის დანერგვით, არსებობს დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების პოტენციალი. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს მიერ მოხდება მუნიციპალიტეტებისთვის სხვადასხვა ტიპის პროექტებში უკვე არსებული გამოცდილების, შეცდომებისა თუ ნაკლოვანებების გაზიარება, მუნიციპალიტეტებს საშუალება ექნებათ თავიდან აირიდონ ხარვეზები პროექტის განხორციელებისა და მისი შემდგომი ფუნქციონირების ეტაპზე.

რეკომენდაციები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- › იმ მიზნით, რომ მუნიციპალიტეტებმა დროულად შეძლონ პროექტების მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირება, აღმოფხვრა, სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მონიტორინგის შედეგების დადოკუმენტირება, სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს სარეკომენდაციო სახით განუსაზღვროს მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა და შეუმუშაოს მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის ერთიანი ფორმა პროექტის ტიპის გათვალისწინებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- › წინა პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების სამომავლოდ გათვალისწინებისა და თავიდან არიდების მიზნით, სამინისტრომ:
 - მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს პროექტების დასრულების შემდგომ შეფასების ანგარიშის ფორმის შემუშავება (რომლის მიხედვით ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი იქნება მუნიციპალიტეტი) და მოახდინოს აღნიშნული ანგარიშების ანალიზი;
 - მოახდინოს ანალიზის შედეგად პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება და შედეგების გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რაც სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბებული რეგიონული განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, რომ ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს შორის თანხების გადანაწილების კრიტერიუმები მიმართული იყოს მუნიციპალიტეტებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირების ხელშეწყობისაკენ. თუმცა, არსებული კრიტერიუმები (მოსახლეობის რაოდენობა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელი), უთანასწორობის შემცირებას ვერ უზრუნველყოფს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად, მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული კრიტერიუმების განსაზღვრა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების თანასწორ განვითარებას და რეგიონული განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

თავის მხრივ, გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს პროექტების განხორციელების ეტაპზეც. კერძოდ, გამართული მონიტორინგის სისტემის არსებობა ხარვეზების დროულად აღმოჩენისა და გამოსწორების წინაპირობაა, ხოლო პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების დანერგვა ხელს შეუწყობს დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას შემდგომ პერიოდში პროექტების დაგეგმვისას, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს პროექტის განხორციელების პროცესს, ხარისხსა და მიღწეულ შედეგებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს შორის თანხების გადანაწილების არსებული კრიტერიუმების დახვეწით, პროექტების მონიტორინგის პერიოდულობისა და ანგარიშგების პროცესის დადგენით და დასრულებული პროექტების შეფასების სისტემის დანერგვით, შესაძლებელია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში სამთავრობო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების მართვის გაუმჯობესება.

რეკომენდაციები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

მუნიციპალიტეტების თანასწორი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობასა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელთან ერთად გაითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

იმ მიზნით, რომ მუნიციპალიტეტებმა დროულად შეძლონ პროექტების მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირება, აღმოფხვრა, სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მონიტორინგის შედეგების დადოკუმენტირება, სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს სარეკომენდაციო სახით განუსაზღვროს მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა და შეუმუშაოს მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის ერთიანი ფორმა პროექტის ტიპის გათვალისწინებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

წინა პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების სამომავლოდ გათვალისწინებისა და თავიდან არიდების მიზნით, სამინისტრომ:

- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს პროექტების დასრულების შემდგომ შეფასების ანგარიშის ფორმის შემუშავება (რომლის მიხედვით ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი იქნება მუნიციპალიტეტი) და მოახდინოს აღნიშნული ანგარიშების ანალიზი;
- მოახდინოს ანალიზის შედეგად პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება და შედეგების გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2015;

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2015;

საქართველოს მთავრობის განკარგულება №2797 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2015 წლის 25 დეკემბერი;

საქართველოს მთავრობის №23 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 7 თებერვალი;

საქართველოს მთავრობის №1750 განკარგულებით დამტკიცებული რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო, 2015 წლის 20 აგვისტო;

საქართველოს მთავრობის №191 დადგენილება საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე, 2016 წლის 22 აპრილი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, 2011 წლის 8 ივლისი;

თვითმმართველობის ორგანოების დებულებები (ამბროლაური, თელავი, დმანისი, ხარაგაული და მცხეთა);

Cabinet Regulation №482 (2010) “Regulation on Calculation Procedure and Values of Territory Development Index”, Latvia

სტრატეგიული დოკუმენტები:

საქართველოს მთავრობის №172 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, 2010 წლის 25 ივნისი;

საქართველოს მთავრობის №1215 დადგენილებით დამტკიცებული 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2014 წლის 9 ივლისი;

სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მოხსენება საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ - <http://sao.ge/files/auditi/2014-biujetis-cliuri-shesrulebis-shesaxeb-moxseneba-new.pdf>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ - <http://sao.ge/files/auditi/2015-clis-sax-biujet-shesrulebis-wliuri-angarishi.pdf>

The World Bank (2011), Strengthening Public Investment Management-Indicator Framework

The World Bank (2014), The Power of Public Investment Management

დანართი

დანართი 1: შესწავლილი და ადგილზე დათვალიერებული პროექტების შესახებ ინფორმაცია

N	თვითმმართველი ერთეულის დასახელება	პროექტის დასახელება	პროექტის მდგომარეობა	პროექტის ღირებულება	ადგილზე დათვალიერებული პროექტები
1	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	5,000	
2	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია;	დასრულებული	655,254	✓
3	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია	დასრულებული	546,000	✓
4	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;	დასრულებული	37,821	✓
5	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია	დასრულებული	89,917	✓
6	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ბორითი - მარიამწყარო - ღორეშას გზის რეაბილიტაცია	დასრულებული	82,958	
7	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია;	დასრულებული	437,247	✓
8	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების: დეცდარიანი, გურამიშვილის და ჭიპაშვილის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა;	დასრულებული	169,543	✓
9	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხარაგაული-ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია	დასრულებული	222,279	✓
10	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ბუგეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა	დასრულებული	121,388	✓
11	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. სხვადა-ფუტეითში წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები	დასრულებული	228,367	✓
12	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ხოტევის წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები	დასრულებული	173,800	✓
13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ბოსტანა-ღვიარის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები	დასრულებული	224,777	✓
14	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ.ლიხეთის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისა და ბეშიძეების უბნის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები	დასრულებული	238,523	✓
15	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ხოტევის ყრუაშვილების უბნის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციისა და ახალსოფლის სათავე ნაგებობის მიერთების სამუშაოების სამუშაოები	დასრულებული	62,168	✓

16	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ხოტევი სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია (მდინარე ხოტეურაზე 2 ხიდი და შარაბიძეების უბნის ზოგირი)	დასრულებული	64,866	
17	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	მდ. რიონზე სოფ. მუხლის ხიდის რეაბილიტაცია	დასრულებული	125,418	✓
18	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	ხოტევი- კვირიკეწმინდა- ველევი- ბეთლევის სასოფლო გზის რეაბილიტაცია	დასრულებული	74,273	
19	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ხვანჭკარის საუბნო გზების რეაბილიტაცია	დასრულებული	67,446	✓
20	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	მდ. ლუხუნზე სოფ. წესში ბარაკონის ტაძართან ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები	დასრულებული	47,166	✓
21	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ნიკორწმინდის დამატებითი წყალმომარაგების სამუშაოები	დასრულებული	309,023	✓
22	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. ზედა ღვარდიის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები	დასრულებული	65,466	✓
23	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. სადმელის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები	მიმდინარე		
24	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	სოფ. აგარაში აბუთიძეების უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები	დასრულებული	64,582	✓
25	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ლისში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	3,158	
26	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ.წილკანში მოსახლეობის გამრიცხველიანება	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	1,200	
27	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. მსხალდიდში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	1,500	
28	მცხეთის მუნიციპალიტეტი	ახალი ნიჩბის სასმელი წყლის რეაბილიტაცია	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	5,050	
29	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ძეგვში ჭაბურღილის მოწყობა და უბნების სასმელი წყლის სისტემის დაქსელვის სამუშაოები	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	9,707	
30	მცხეთის მუნიციპალიტეტი	წეროვნის დევენილთა დასახლებაში სანიაღვრის მოწყობა	მიმდინარე		✓
31	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფელ წილკანში სანიაღვრის მოწყობა	დასრულებული	263,776	✓
32	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ნატახტრის არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დასრულებული	220,662	✓
33	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. წეროვანში საბავშვო ბაღის მშენებლობა	დასრულებული	553,809	✓
34	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ.ახატანი-ბიწმენდისა და სოფელ ფრეზეთის საავტომობილო გზის მოასფალტება	დასრულებული	147,679	✓
35	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ქვემო ნიჩბისში წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია	მიმდინარე	92,350	
36	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ნავდანკარში და არაშენდაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	მიმდინარე	61,084	✓
37	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ნავაზში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები	დასრულებული	67,554	✓
38	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. მუხრანში უბნების სასმელი წყლის შიდა დაქსელვის სამუშაოები	მიმდინარე	312,923	✓

39	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ფრეზეთში სასმელი წყლის ჭაბურღილის და სისტემის მოწყობა	დასრულებული	47,591	✓
40	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ძალისის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია და შიდა დაქსელების სამუშაოები	დასრულებული	88,456	✓
41	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. ზაქაროში დარჩენილი უბნების შიდა დაქსელების სამუშაოების მოწყობა	დასრულებული	171,115	✓
42	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სასხორი სასმელი წყლის რეაბილიტაცია	დასრულებული	55,047	
43	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. გალავანში და სოფ. წინამძვრთან ტყარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დასრულებული	201,263	✓
44	მცხეთის მუნიციპალიტეტი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წოდორეთში ქვედა დასახლებაში, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის რეაბილიტაცია	დასრულებული	64,986	
45	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები-სოფ.ერედა	დასრულებული	41,802	
46	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფელ(წილკანში(დევნილთა დასახლებაში) საბავშვო ბაღის მშენებლობა	დასრულებული	227,091	✓
47	მცხეთის მუნიციპალიტეტი	სოფ. წეროვანში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა II ეტაპი	დასრულებული	54,494	✓
48	დმანისის მუნიციპალიტეტი	დ.დმანისი-დმანისი-გომარეთის სახელმწიფო დანიშნულების გზიდან სოფ ივმნარი-კიზლაჯოს მისასვლელი გზის მოასფალტება	დასრულებული	590,306	✓
49	დმანისის მუნიციპალიტეტი	დმანისი-საფარლოს გზიდან სოფ. ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	დასრულებული	458,519	✓
50	დმანისის მუნიციპალიტეტი	სოფ ბოსლები-აზაკლიანის მისასვლელი გზის მოასფალტება-დასრულება	დასრულებული	395,700	
51	დმანისის მუნიციპალიტეტი	სოფ. გომარეთის მთის წყლის სათავე ნაგებობის და 6 კმ მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაცია	დასრულებული	174,559	✓
52	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფ. ქვემო-ხოდაშენში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა (დრენაჟი) და ქსელის მოწყობა.	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	2,945	
53	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ვანთაში არსებული ჭაბურღილის დადრმავება, დამოუკიდებელი კვების წყაროს მოწყობით	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	2,520	
54	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფ.იყალთოში ჭაბურღილის მოწყობა, დამოუკიდებელი კვების წყაროს მოწყობით	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	2,520	
55	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფ.წინანდალში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, (სასტუმრო რედისონისკენ მიმავალ უბანში) მრიცხველების დაყენება	მომზადდა მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაცია	2,945	

56	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფ.სანიორიდან, სოფ.ართანაში შემოსასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება 2,3 კმ. // სოფ.წინანდალში საუბნო გზების (რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი 2014 წელს მოასფალტებული გზის გაგრძელება). მოასფალტება	დასრულებული	684,673	
57	თელავის მუნიციპალიტეტი	ნაგავშიდი მანქანებისა და ნაგვის ბუნკერების შეძენა	დასრულებული	497,950	
58	თელავის მუნიციპალიტეტი	ნაგვის ბუნკერების შეძენა	დასრულებული		
59	თელავის მუნიციპალიტეტი	ნაგავშიდი მანქანის შეძენა	დასრულებული		
60	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ბუშეტში ჭაბურღილის მოწყობა დამოუკიდებელი კვების წყაროს მოწყობით // სოფელ გულგულაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა	დასრულებული	168,492	✓
61	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ვანთაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა // სოფელ აკურაში ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარით	დასრულებული	141,695	✓
62	თელავის მუნიციპალიტეტი	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია, სამსარაგო ავზებისა და მილსადენების მოწყობა	დასრულებული	92,138	✓
63	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ კისისხევში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა (დრენაჟის მოწყობით)	დასრულებული	109,508	
64	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ლაფანყურში სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა ქსელთან ერთად	დასრულებული	138,768	
65	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ აკურაში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია // სოფელ ვანთაში სასმელი წყლის ცენტრალური და შიდა ქსელების რეაბილიტაცია	დასრულებული	164,129	✓
66	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ რუისპირში სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა	დასრულებული	72,350	✓
67	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ სანიორეში და სოფელ ლალისყურში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	დასრულებული	192,999	
68	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ვარდისუბანში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	დასრულებული	77,707	✓
69	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ქვემო ხოდაშენში ჭაბურღილის მოწყობა	დასრულებული	99,560	✓
70	თელავის მუნიციპალიტეტი	სოფელ ბუშეტში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია / სოფელ წინანდალში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	დასრულებული	103,419	✓

დანართი 2: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	განკარგულებით დამტკიცებული საპროექტო წინადადებების ღირებულება (ათასი ლარი)			%წილი მთლიან ფონდში		
	2013	2014	2015	2013	2014	2015
გურიის მხარე	15,596	10,933	14,115	6.9%	7.8%	8.1%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2,415	2,936	3,898	1.1%	2.1%	2.2%
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	9,721	5,597	4,539	4.3%	4.0%	2.6%
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი			2,815			1.6%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	3,460	2,400	2,863	1.5%	1.7%	1.6%
იმერეთის მხარე	53,001	34,046	42,408	23.3%	24.3%	24.2%
ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტი	16,237	11,926	13,939	7.1%	8.5%	8.0%
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	2,145	2,261	2,033	0.9%	1.6%	1.2%
ვანის მუნიციპალიტეტი	2,069	1,356	1,763	0.9%	1.0%	1.0%
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	4,023	2,370	3,126	1.8%	1.7%	1.8%
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	4,254	2,183	2,865	1.9%	1.6%	1.6%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	3,905	1,742	2,218	1.7%	1.2%	1.3%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	3,863	1,922	4,178	1.7%	1.4%	2.4%
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	3,267	2,148	2,062	1.4%	1.5%	1.2%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	4,338	2,369	3,292	1.9%	1.7%	1.9%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	3,543	2,690	2,912	1.6%	1.9%	1.7%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,315	1,920	2,408	1.5%	1.4%	1.4%
ხონის მუნიციპალიტეტი	2,042	1,160	1,611	0.9%	0.8%	0.9%
კახეთის მხარე	29,037	16,862	21,239	12.8%	12.0%	12.1%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	2,844	2,587	2,084	1.3%	1.8%	1.2%
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი			1,580			0.9%
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,840	2,744	3,890	2.6%	2.0%	2.2%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	3,763	1,561	2,091	1.7%	1.1%	1.2%
თელავის მუნიციპალიტეტი	3,678	2,947	2,607	1.6%	2.1%	1.5%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	3,432	1,852	2,508	1.5%	1.3%	1.4%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	3,548	2,031	2,467	1.6%	1.5%	1.4%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2,897	1,789	2,029	1.3%	1.3%	1.2%
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,035	1,351	1,984	1.3%	1.0%	1.1%
მცხეთა-მთიანეთის მხარე	15,307	10,940	10,842	6.7%	7.8%	6.2%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	4,817	2,860	2,530	2.1%	2.0%	1.4%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	634	1,809	1,752	0.3%	1.3%	1.0%
ქალაქი მცხეთის მუნიციპალიტეტი			2,358			1.3%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	8,036	4,991	2,958	3.5%	3.6%	1.7%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1,820	1,280	1,244	0.8%	0.9%	0.7%
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის მხარე	8,672	5,582	7,868	3.8%	4.0%	4.5%
ქალაქი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი			860			0.5%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,576	1,773	2,318	1.1%	1.3%	1.3%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	1,941	975	1,087	0.9%	0.7%	0.6%
ონის მუნიციპალიტეტი	1,441	1,159	1,531	0.6%	0.8%	0.9%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	2,713	1,674	2,072	1.2%	1.2%	1.2%
სამეგრელო ზემო სვანეთის მხარე	38,031	23,092	31,554	16.7%	16.5%	18.0%
თვითმმართველი ქალაქი ფოთი	11,879	3,502	5,223	5.2%	2.5%	3.0%
აბაშის მუნიციპალიტეტი	2,188	1,040	1,993	1.0%	0.7%	1.1%

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი			3,789			2.2%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	9,700	6,027	4,207	4.3%	4.3%	2.4%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	2,039	2,574	2,682	0.9%	1.8%	1.5%
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,479	3,674	4,297	1.1%	2.6%	2.5%
სენაკის მუნიციპალიტეტი	3,080	2,132	2,882	1.4%	1.5%	1.6%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	1,944	1,003	1,955	0.9%	0.7%	1.1%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2,560	1,869	2,669	1.1%	1.3%	1.5%
ხობის მუნიციპალიტეტი	2,161	1,271	1,855	1.0%	0.9%	1.1%
სამცხე-ჯავახეთის მხარე	19,442	11,333	14,002	8.5%	8.1%	8.0%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	1,727	1,342	1,940	0.8%	1.0%	1.1%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	2,730	1,270	1,685	1.2%	0.9%	1.0%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	3,212	1,870	2,600	1.4%	1.3%	1.5%
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი			1,604			0.9%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,519	3,006	2,083	2.0%	2.1%	1.2%
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	4,927	2,666	2,587	2.2%	1.9%	1.5%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,328	1,179	1,502	1.0%	0.8%	0.9%
ქვემო ქართლის მხარე	28,894	14,788	19,239	12.7%	10.6%	11.0%
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	13,236	6,764	6,419	5.8%	4.8%	3.7%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	1,885	495	1,545	0.8%	0.4%	0.9%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1,609	1,577	2,843	0.7%	1.1%	1.6%
დმანისის მუნიციპალიტეტი	4,518	1,364	1,655	2.0%	1.0%	0.9%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	2,001	945	1,269	0.9%	0.7%	0.7%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	3,697	2,314	3,960	1.6%	1.7%	2.3%
წალკის მუნიციპალიტეტი	1,948	1,329	1,548	0.9%	0.9%	0.9%
შიდა ქართლის მხარე	19,472	12,415	14,008	8.6%	8.9%	8.0%
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი			2,708			1.5%
გორის მუნიციპალიტეტი	6,866	3,523	1,976	3.0%	2.5%	1.1%
კასპის მუნიციპალიტეტი	5,631	4,805	4,076	2.5%	3.4%	2.3%
ქარელის მუნიციპალიტეტი	3,150	2,024	2,814	1.4%	1.4%	1.6%
ხაშურის მუნიციპალიტეტი	3,825	2,063	2,433	1.7%	1.5%	1.4%
სულ:	227,452	139,992	175,275	100.0%	100.0%	100.0%



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438